

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 16 სექტემბერს.

მთ. ბუღალტერი : ეთერი ჩირგაძე



შპს დანამა

ფინანსური მდგომარეობის გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი ერთეული - ათასი ლარი

	შენიშვნები	31.12.2019	01.01.2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1	327 820	361 275
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		-	-
საინვესტიციო ქონება		-	-
ბიოლოგიური აქტივი		-	-
		327 820	361 275
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული	2	43 597	189 182
ინსტრუმენტები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	3	33 299	8 184
მარაგები	4	8 004	101 535
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		-	-
		84 900	298 901
მთლიანი აქტივები		412 720	660 176
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		280 000	280 000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		119 500	352 068
		399 500	632 068
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
გადავადებული შემოსავალი		-	-
გრძელვადიანი სესხები		-	-
ანარიცხები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი			
ვალდებულებები		13 220	28 108
მოკლევადიანი სესხები		-	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
გადასახდელი პროცენტი			
გადასახდელი დივიდენდი			
		13 220	28 108
მთლიანი ვალდებულებები		13 220	28 108
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		412 720	660 176

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 16 სექტემბერი

დირექტორი: კახა ჟორჟოლიანი

მთ. ბუღალტერი: ეთერი ჩირგაძე

შპს დანამა

მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

	შენიშვნა	2019
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	5	-2133311
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	5	-153905
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-	1589363
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	5	-2345
საერთო მოგება:		700 198
ადმინისტრაციული ხარჯი	-	312361
საოპერაციო ხარჯი	7	176083
მიწოდების ხარჯი	-	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი:		211754
არასაოპერაციო შემოსავალი	6	-6118
არასაოპერაციო ხარჯი	-	0
ფინანსური შემოსავალი	-	0
ფინანსური ხარჯი	-	-
წმინდა ფინანსური ხარჯი		6118
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		217872
მოგების გადასახადი (ხარჯი)/სარგებელი	-	-
მოგება დაბეგვრის შემდგომ		217872
სხვა სრული შემოსავალი		-
გადაფასების რეზერვი	-	-
სრული შემოსავლის წლიური ჯამი		217872
ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 16 სექტემბერი		

დირექტორი: კახა ჟორჟოლიანი

მთ. ბუღალტერი: ეთერი ჩირვაძე



შპს დანამა
 საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 1 იანვარი	280 000	352 068	632 068
წმინდა მოგება	-	217 872	217 872
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	217 872	217 872
გაცემული დივიდენდი	-	(450 440)	(450 440)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	280 000	119 500	399 500

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 16 სექტემბერი

დირექტორი: კახა ჟორჟოლიანი

მთ. ბუღალტერი : ეთერი ჩირგაძე



შპს დანამა

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი ერთეული-ათასი ლარი	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2656540
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-2177943
სხვა ხარჯები	-
სხვა შემოსავლები	60567
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი თანხები	539164
გადახდილი პროცენტები	-
საბიუჯეტო გადასახადებები	-530698
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	8466
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	0
ძირითადი საშუალებების შესყიდვა/კაპიტალიზება	0
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-
მიღებული დივიდენდები	8466
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-154051
დივიდენდებზე გადახდილი ფულადი სახსრები	-
მიღებული სესხები	-
გასავალი სესხის დასაფარად	-
მიღებული პროცენტები	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-145585
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების ზრდა	0
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შედეგი	-145585
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების ზრდა	189182
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში:	43597
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს:	

ხელმოწერილი და წვდართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 16 სექტემბერი.

დირექტორი: კახა ჟორჟოლიანი

მთ. ბუღალტერი: ეთერი ჩირგაძე



შპს “დანამა“

საიდენტიფიკაციო კოდი: 412 675 092

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ----- 5

მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება -----6

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----7

ფულადი ნაკადების ანგარიშგება -----8

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ----- 9-20

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „დანამა“-ს (ს/კ 412675092) (შემდგომში კომპანია) ფინანსურ მდგომარეობას, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი ნაკადების ანგარიშგებასა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

1. მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდებრულ გამოყენებაზე.
2. გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე.
3. განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგებაზე მსს ფასს-ის მიხედვით, არის თუ არა წარმოდგენილი და ახსნილი მსს ფასს-დან გამომდინარე მნიშვნელოვანი გადახრები.
4. ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით, თუ შეუსაბამო არ არის ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

1. კომპანიაში ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე.
2. ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს.
3. სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4. კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე, თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 16 სექტემბერს.

დირექტორი: კახა ჟორჟოლიანი

მთ. ბუღალტერი : ეთერი ჩირგაძე

შპს დანამა

ფინანსური მდგომარეობის გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი ერთეული - ათასი ლარი

	შენიშვნები	31.12.2019	01.01.2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1	327 820	361 275
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		-	-
საინვესტიციო ქონება		-	-
ბიოლოგიური აქტივი		-	-
		327 820	361 275
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული	2	43 597	189 182
ინსტრუმენტები		33 299	8 184
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	3	8 004	101 535
მარაგები	4	-	-
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		-	-
		84 900	298 901
მთლიანი აქტივები		412 720	660 176
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		280 000	280 000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		119 500	352 068
		399 500	632 068
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
გადავადებული შემოსავალი		-	-
გრძელვადიანი სესხები		-	-
ანარიცხები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი			
ვალდებულებები		13 220	28 108
მოკლევადიანი სესხები		-	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
გადასახდელი პროცენტი			
გადასახდელი დივიდენდი			
		13 220	28 108
მთლიანი ვალდებულებები		13 220	28 108
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		412 720	660 176

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 16 სექტემბერი

დირექტორი: კახა ჟორჟოლიანი

მთ. ბუღალტერი: ეთერი ჩირგაძე

შპს დანამა

მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

	შენიშვნა	2019
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	5	-2133311
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	5	-153905
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-	1589363
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	5	-2345
საერთო მოგება:		700 198
ადმინისტრაციული ხარჯი	-	312361
საოპერაციო ხარჯი	7	176083
მიწოდების ხარჯი	-	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი:		211754
არასაოპერაციო შემოსავალი	6	-6118
არასაოპერაციო ხარჯი		0
ფინანსური შემოსავალი	-	0
ფინანსური ხარჯი	-	-
წმინდა ფინანსური ხარჯი		6118
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		217872
მოგების გადასახადი (ხარჯი)/სარგებელი	-	-
მოგება დაბეგვრის შემდგომ		217872
სხვა სრული შემოსავალი		-
გადაფასების რეზერვი	-	-
სრული შემოსავლის წლიური ჯამი		217872

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით

2020 წლის 16 სექტემბერი

დირექტორი: კახა ჟორჟოლიანი

მთ. ბუღალტერი: ეთერი ჩირგაძე

შპს დანამა
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 1 იანვარი	280 000	352 068	632 068
წმინდა მოგება	-	217 872	217 872
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	217 872	217 872
გაცემული დივიდენდი	-	(450 440)	(450 440)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	280 000	119 500	399 500

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 16 სექტემბერი

დირექტორი: კახა ჟორჟოლიანი

მთ. ბუღალტერი : ეთერი ჩირგაძე

შპს დანამა

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი ერთეული-ათასი ლარი	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	2656540
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-2177943
სხვა ხარჯები	-
სხვა შემოსავლები	60567
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი თანხები	539164
გადახდილი პროცენტები	-
საბიუჯეტო გადასახადებები	-530698
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	8466
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	0
ძირითადი საშუალებების შესყიდვა/კაპიტალიზება	0
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-
მიღებული დივიდენდები	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	8466
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
დივიდენდებზე გადახდილი ფულადი სახსრები	-154051
მიღებული სესხები	-
გასავალი სესხის დასაფარად	-
მიღებული პროცენტები	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების ზრდა	-145585
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შედეგი	0
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების ზრდა	-145585
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში:	189182
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს:	43597

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 16 სექტემბერი.

დირექტორი: კახა ჟორჟოლიანი -----

მთ. ბუღალტერი : ეთერი ჩირგაძე -----

შპს დანამა -ს
სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2019 წ.

ზოგადი ინფორმაცია:

კომპანიის დასახელება	შპს „დანამა“
საიდენტიფიკაციო ნომერი	412 675 092
იურიდიული მისამართი	საქართველო, ქუთაისი, დონეცკის ქ. #10
ფაქტური მისამართი	საქართველო, ქუთაისი, ბუკიას აღმოსავლეთით #3
რეგისტრაციის თარიღი	22/12/2010
დამფუძნებლები	ავთანდილ ბრეგვაძე (60003007761) კახა ჟორჯოლიანი (53001006824) პაატა სულაგა (60001033640)
დირექტორი (ხელმძღვანელი პირი)	კახა ჟორჯოლიანი (53001006824)
საქმიანობის სფერო	1. მზა კერძებისა და ნახევარფაბრიკატების წარმოება. 2. საკონდიტრო წარმოება 3. ხორცი და ხორცპროდუქტები

1. მომზადების საფუძველი:

(ა) წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც კომპანიის მსს ფასს-თან ადაპტაციის პროცესის ნაწილი და შეესაბამება 35-ე განყოფილებას მსს ფასს-ზე გადასვლის პირველადი ადაპტაციის მოთხოვნებს. წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით და საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის გათვალისწინებით. კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღს წარმოადგენს 2018 წლის 1 იანვარი. წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს გადასვლის დღემდე არსებულ შესადარის ინფორმაციას.

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება განკუთვნილია, როგორც შესადარის ინფორმაცია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოსამზადებელი კომპანიის პირველი სრული მსს ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების კომპლექტისთვის. შესაბამისად, წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ წარმოადგენს მსს ფასს-ის შესაბამის ფინანსური ანგარიშგებების სრულ ნაკრებს.

(ბ) აღრიცხვის საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის 2019 წლის 15 მაისის სარეკომენდაციო მითითების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, რომელიც იქნება გამოყენებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მსს ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების სრული ნაკრების მომზადებისას. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები, კერძოდ ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა „ORISS“, რომელიც უზრუნველყოფს ოპერაციების სინთეზურ და ანალიზურ აღრიცხვას ბუღალტრული ანგარიშგების მიხედვით.

(გ) საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო“)

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას, გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, არამედ მისი უწყვეტი საწარმოო ფუნქციონირების უნარსაც.

COVID-19-ის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, კომპანიების უმეტესობა გამოწვევების წინაშე დადგა. არსებული სიტუაციის პირობებში კომპანიამ შეაფასა სამომავლო პერსპექტივები და შედეგად მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა).

ამგვარად, მოცემული გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს ნასყიდობის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მეთოდი. ცვეთის დასაშვები მეთოდებია: წრფივი მეთოდი, კლებადი ნაშთის მეთოდი და მეთოდი, რომელიც ეყრდნობა აქტივის მოსალოდნელ გამოყენებას, როგორცაა წარმოებულ ერთეულთა მეთოდი. კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების ვადა

შენობა-ნაგებობები	20-დან 51 წლამდე
მანქანა -დანადგარები	5-დან 12 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	3-დან 8 წლამდე
სატრანსპორტო საშუალებები	5-დან 8 წლამდე

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ბოლო წლიური საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა ამა თუ იმ აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათი, საწარმომ უნდა გაანალიზოს ცვეთის არსებული მეთოდი და იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე პერიოდის მოლოდინები განსხვავებულია, საწარმომ უნდა შეცვალოს აქტივის ცვეთის მეთოდი, აქტივის მოხმარების ახალი სტრუქტურის ასახვის მიზნით. აღნიშნული ცვლილება აისახება, როგორც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილება.

თუ არსებობს გაუფასურების კომპონენტები, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე დაუყოვნებლივ. თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს.

ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება წყდება. საწარმომ ასეთი სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

(შენიშვნა 1)

ანგარიში	დასახელება	საწყისი ნაშთი 01.01.2019	შემენა/ დებეტი	რეალიზაცია /კრედიტი	ცვეთა/ კრედიტი	ÓÀÁİĖİİ ნაშთი 31.12.2019
2000	ძირითადი საშუალებები	361275	43027	54449	22033	327820
2130	შენობები	213111	9034	0	11107	211038
2150	მანქანა-დანამგარები	123583	25907	37394	10031	102065
2160	ოფისის აღჭურვილობა	9736	0	4132	167	5437
2170	ავეჯი და სხვა ინვენტარი	8542	0	7758	157	627
2171	ავეჯი და სხვა ინვენტარი	591	0	24	0	567
2180	სატრანსპორტო საშუალება	5712	8086	5141	571	8086

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს მინუს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებს შორის უმცირესი თანხით.

ნედლეული და დამხმარე მასალები, რომლებიც განკუთვნილია სასაქონლო მატერიალური მარაგების საწარმოებლად, არ ჩამოფასებულა თვითღირებულებაზე დაბლა, ვინაიდან მათი მონაწილეობით წარმოებული მზა პროდუქცია გაიყიდება თვითღირებულების შესაბამის, ან თვითღირებულებაზე მაღალ ფასში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შეძენის დანახარჯებს, გადამუშავების (კონვერსიის) დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

(შენიშვნა 4)

აქტივები	31.12.2019	31.12.2018
მარაგები	8 004	101 535

ორგანიზაცია 2019 წლის თებერვლის ბოლოდან სრულად ჩამოშორდა სასურსათო საქონლის რეალიზაციას, მოხდა მაღაზიის ფართის გაქირავება. გაქირავებამდე მოხდა არსებულ ფართზე სასაქონლო არსებული მარაგებისა გაყიდვა. რაც აიხსნება მარაგების შემცირება.

შეძენის დანახარჯები:

მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მის შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

გადამუშავების (კონვერსიის) დანახარჯები:

მარაგის გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან, როგორცაა, მაგალითად პირდაპირი შრომითი დანახარჯები. ისინი მოიცავს აგრეთვე სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად დანახარჯებს,

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია,

რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ესენია: ცვეთის ანარიცხები, საწარმოო შენობებისა და მოწყობილობების საექსპლუატაციო დანახარჯები, აგრეთვე საწარმოო ადმინისტრაციულ-მმართველობითი დანახარჯები. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილების პირდაპირპროპორციულად, ან დაახლოებით პირდაპირპროპორციულად, როგორცაა, მაგალითად დანახარჯები არაპირდაპირ მასალებსა და არაპირდაპირ სამუშაო ძალაზე.

კომპანია მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაიყიდება და რისკი და კონტროლი გადადის მყიდველზე. გაყიდვის შემდეგ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, როგორც დანახარჯი იმავე პერიოდში, როდესაც აღიარდება მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი და მაშინ, როდესაც მარაგი გაუფასურებულია.

სავაჭრო და სხვა დებიტორულ/კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. ზოგადად, როცა მათი დაფარვის ვადა შედგენს არაუმეტეს 30 დღეს, შესაბამისად კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის ოდენობით, რომელიც უპირობოა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტებს, როდესაც მათი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. კომპანია ფლობს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს იმ მიზნით, რომ მომავალში მიიღოს კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები.

(შენიშვნა 3)

აქტივები		31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		33 300	8 184

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები უზრუნველყოფილია და უმეტესად მათი დაფარვის ვადა შეადგენს აღიარების მომენტიდან არაუმეტეს 30 დღეს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს.

(შენიშვნა 2)

ანგარიში	დასახელება	საწყისი ნაშთი 01.01.2019	საბოლოო ნაშთი 31.12.2019
	მიმდინარე აქტივები ჯამში	189 182	43 597
1100	ნაღდი ფული სალაროში	126006	26728
1210	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	63176	16869
1210 15	T B C ბანკი	63176	16869

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და აღიარდა დამფუძნებლის შენატანის რეალური ღირებულებით.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სრულად ან არსებითად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2017 წლის 1 იანვრამდე მოგების გადასახადის ხარჯი/ (სარგებელი) მოიცავდა მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებოდა წლის მოგება ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი აღიარება ხდებოდა სხვა სრულ შემოსავალში, ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებული იყო იმავე, ან სხვა პერიოდში, ან პირდაპირ კაპიტალში აღიარებულ ტრანსაქციებთან.

მოგების გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სრულად ან არსებითად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მიღებული სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, კომპანია აფასებს ყველა ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით. ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლების და ხარჯის აღიარებისთვის კომპანია იყენებს დარიცხვის პრინციპს.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადების თანხის გამოკლებით. დამატებული ღირებულების გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მომხმარებლისგან მისაწოდებელი საქონლის, ან მომსახურების გაწევამდე მიღებული ავანსი, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება მომხმარებლისათვის.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სანდო შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული, ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის პრინციპალის სახით, რადგან იგი ძირითადი

მოვალეა ყველა ასეთ გარიგებაში, აქვს ფასდადების მხრივ თავისუფლება და ატარებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურებისა და საკრედიტო რისკებს.

(შენიშვნა 5)

ანგარიშები	დასახელება	ბრუნვა 31.12.2019
6000	საოპერაციო შემოსავლები	2 350 127
6110	შემოსავალი რეალიზაციიდან	2 133 310
6116	ძირ. საშუალების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	60567
6190	იჯარით მიღებული შემოსავალი	153905
6190	სხვა საოპერაციო შემოსავალი (სარეკლამო მომსახურება)	2 345

(შენიშვნა 6)

არასაოპერაციო შემოსავალი	
ძირ. საშუალებით მიღებული შემოსავალი	60567
გაყიდული ძირ. საშუალების ხარჯი (შენიშვნა #1)	54449
სხვაობა	6118

ორგანიზაციაში 2018 წლამდე ეწეოდა სასურსათო მაღაზიით საქონლის რეალიზაციას, დამატებით ითავსებდა მზა კერძებითა და საკონდიტრო ნაწარმის საქმიანობას, 2019 წლის თებერვლის ბოლოდან სრულად ჩამოშორდა სასურსათო საქონლის რეალიზაციას, მოხდა მაღაზიის ფართის გაქირავება და საქმიანობად დაიტოვა მხოლოდ მზა კერძებითა და საკონდიტრო ნაწარმის საქმიანობა. გაქირავებამდე მოხდა არსებულ ფართზე სასაქონლო მარაგებისა და სასურსათო მაღაზიის ფართზე არსებული გაყიდვა. რითაც აიხსნება როგორც მარაგების ასევე ძირითადი საშუალებების ასეთი დიდი შემცირება. შესაბამისად 2019 წლის შემოსავალი დაიყო რამდენიმე სახეობად: რეალიზაციიდან შემოსავალი, იჯარიდან შემოსავალი, ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი. სხვადასხვა მარკეტინგული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.

ხარჯის აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს, ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

(შენიშვნა 7)

საოპერაციო ხარჯი

საოპერაციო ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019
საოპერაციო ხარჯი	144 537
სამივლინებო ხარჯი	-
სხვა საგადასახადო ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა	3 497
საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯი	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	28 049
სულ საოპერაციო ხარჯი:	176 083

მსს ფასს-თან პირველადი ადაპტაცია

მსს ფასს-ზე გადასვლამდე კომპანია ახდენდა ისეთი საადრიცხო პოლიტიკის შემუშავებას, რომლებიც ეფუძნებოდა საგადასახადო რეგულაციებს.

35-ე განყოფილება მსს ფასს-ზე გადასვლა მოითხოვს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების წარდგენას მსს ფასს-ზე გადასვლის დღის მდგომარეობით და მოიცავს მსს ფასს-ის რეტროსპექტიული გამოყენების რამდენიმე სავალდებულო და არასავალდებულო გამონაკლისს.

მსს ფასს-ზე კომპანიის გადასვლის თარიღია 01 იანვარი 2018 წელი.

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა კომპანიის ფინანსური მდგომარეობით, ოპერაციების შედეგებით, არსებული განზრახვებით და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციას არ გააჩნია სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ გააჩნია არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხე არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადოს მიერ და შესაძლოა კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები, საურაავები და პროცენტები. თუმცა ამ ეტაპზე, კომპანიას მიჩნია, რომ ყველა საგადასახადო გადასახადი გადახდილი აქვს და არანაირი ანარიცხი არ წარადგინა გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში მსოფლიოს მასშტაბით გავრცელდა ვირუსი COVID-19, რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტის თარიღისთვის მიჩნეულ იქნა პანდემიად. აღნიშნული კრიტიკული სიტუაციის სამართავად საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 21 მარტს მიიღო გადაწყვეტილება ქვეყანაში გამოეცხადებინა საგანგებო მდგომარეობა. შედეგად კომპანია გადავიდა ნაწილობრივ დისტანციურ მუშაობაზე, რამაც გამოიწვია უარყოფითი ეფექტი კომპანიის ოპერაციებზე, რადგან კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, შეუძლებელია წარმოების პროცესი დისტანციური რეჟიმით. დღეს კომპანია მუშაობას განაგრძობს ჩვეულ რეჟიმში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2020 წლის 16 სექტემბერს ხელმძღვანელობის მიერ.